



ქ. მარნეული

10.08. 2020წ

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ დირექტორის  
ბრძანება N 49

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ 2020-2021 სასწავლო წელს აპლიკანტთა  
საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და ვადების შესახებ  
**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. განისაზღვროს „საექთნო საქმის“ და „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენის ვადად 17-29 სექტემბერი;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტებთან გასაუბრება და შიდა გამოცდა ჩატარდეს 18-20 აგვისტოს;
3. იმ პირებს, ვისაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, ჩაუტარდეს ტესტირება ქართული ენაში 18-19 აგვისტოს;
4. იმ პირებს, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია ჩაუტარდეს გასაუბრება 21 აგვისტოს; სავალდებულოა მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით;
5. იმ პირთათვის (ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში), ვინ რეგისტრაცია არ გაიარა პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (<https://vet.emis.ge/#/>) მეშვეობით და სურვილი აქვს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში გააგრძელოს სწავლა:
  - ა) მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ ერთი წლის სწავლის საფასური განისაზღვროს 2977 ლარით;
  - ბ) მეხუთე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ერთი წლის სწავლის საფასური განისაზღვროს 3171 ლარით;
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულება გაფორმდეს 2020 წლის 30 სექტემბერს, ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ;
7. ბრძანება აპლიკანტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ გამოიცეს არაუგვიანეს 2020 წლის 29 სექტემბრისა;
8. ინფორმაცია სტუდენტთა ჩარიცხვისა და სხვა სავალდებულო მონაცემების შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში აისახოს არაუგვიანეს 2020 წლის 29 სექტემბრისა.

მისამართი: 3000 ქ. მარნეული; 26 მაისის ქ.80 ტელ. 599-04-11-84

ელ. მისამართი: [mcollege.edu@gmail.com](mailto:mcollege.edu@gmail.com)

Marneuli; 26 May Street N80; Phone 599-04-11-84

ს/კ 405 337 880



შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“  
LTD “MARNEULI MEDICAL COLLEGE”

9. საგანმანათლებლო პროგრამებს ჩარიცხულმა პირებმა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
- ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
  - ბ) პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი);
  - გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
  - დ) ორი ფოტო 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე);
  - ე) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
10. ბრძანების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურმა;
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი



მისამართი: 3000 ქ. მარნეული; 26 მაისის ქ.80 ტელ. 599-04-11-84

ელ. მისმართი: [mcollege.edu@gmail.com](mailto:mcollege.edu@gmail.com)

Marneuli; 26 May Street N80; Phone 599-04-11-84

ს/კ 405 337 880